



ბა, ვაი
აიღებ
სწავლა-
ბაღები-
სოვის!

სამრეა

ШКОЛА

მომოყენი!
შოკოლადები
სოჭინსნი!

მამალო...
ხევა...
მამალო!

ქვაჩა...
ქვაჩა...
ვაჰა!

სუძიხა...
ახად
მხალცილი
სუძიხა!


ნ.ბ. პ. ფორმალაშვილი

13.75

მასობის პირველად სსსრკ-ს მემკვიდრე...

მასობა

16



— ჩემი დისწული მოვა თქვენთან და საწყობის გაგვედ დანიშნეთ. თუმცა იცოდეთ მშ წინააღმდეგი ვარ.

ტყუი თუ ტყუილვე?

„პური ჩვენი არსობისა“ — ამ ძველთაძველ სიბრძნეს თავისებური კორექტურა გაუკეთა გულრიფშის რაიონის სოფელ დრანდის №49 პურის მაღაზიის გამგემ ნელი გრიგოლაგამ: „პური ჩვენი მოტყუებისა“.

ამ კორექტურულმა სიახლემ საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო ინსპექციამდე მიადწია, პოდა, 1974 წლის 5 მაისს, 12 საათსა და 20 წუთზე, შეამოწმეს სოფელ დრანდის №49 პურის მაღაზია. ნელი გრიგოლაგა მაღაზიაში არ აღმოჩნდა. გამყიდველის ფუნქციებს ასრულებდა გაუფორმებელი მოხალისე ნოქარი ვინმე ზ. ი. ტყებურაგა, რომელმაც დროის მოკლე მონაკვეთში 17 კაპიკი დასტყუა მომხმარებელს! ვინ უნდა დაისაჯოს? ტყებურაგა? არა, როგორ გეკადრებათ, ტყებურაგას მადლობის მეტი რა ეთქმის, ის მხოლოდ „ეხმარებოდა“ ნელი გრიგოლაგას. დიდი სჯა-ბაასი არ დასტყუებიათ, ვიღაცა უნდა დაესაჯათ. ტყებურაგას ხომ არ მოხსნიდნენ, ის ისედაც მოხსნილი იყო!

პოდა, დახლში გარეშე პირის დაშვებისათვის, სამსახურის სისტემატურად უმიზეზოდ მიტოვებისათვის, წარსულში მსგავსი დარღვევებისათვის მოხსნეს №49 მაღაზიის გამგე ნელი გრიგოლაგა. ნელი გრიგოლაგამ გულრიფშის სახალხო სასამართლოში შეიტანა საჩივარი, მოითხოვდა მაღაზიაში აღდგენას. სასამართლოში უარი სტიკიცეს: თანამდებობის პირს ჩვენ ვერ აღვადგენთ!

„მე არ გახლავართ მაღაზიის გამგე, უბრალო გამყიდველი ვარ, რის გამგე, რა გამგე?!“ — გაპილპილ-გააჯიკდა ნელი. თუ ასეა, გულრიფშის სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე მ. კალანდია რატომღა წერს ასეთ ბრძანებას: „1974 წლის 5 ივნისიდან ნელი ნიკოლოზის ასული გრიგოლაგა განთავისუფლდეს № 49 პურის მაღაზიის გამგის მოვალეობისაგან“.

გრიგოლაგამ განცხადება შეიტანა პროკურატურასა და სასამართლოში. ირწმუნებოდა დაუჯერებელს. ამისათვის საჭირო იყო ცნობა იმის შესახებ, რომ ნელი გრიგოლაგა ნამდვილად არ იყო №49 მაღაზიის გამგე. წყლის ნაყვამ შედეგი გამოიღო, ცნობა გასცა სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარემ კ. მატუამ 1975 წლის 20 მარტს: „გულრიფშის სახალხო სასამართლოს ეცნობოს, რომ ნელი ნიკოლოზის ასული გრიგოლაგა არ იყო დამტკიცებული № 49 მაღაზიის გამგედ“. ადრე თუ გრიგოლაგაზე გულრიფშის სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოების ხელმძღვანელობა იწერებოდა, იგი ნამდვილად მუშაობდა მაღაზიის გამგედ, ახლა იწერებია: არასდროს არ ყოფილა მაღაზიის გამგეო. თითქმის წელიწადი არკვევდნენ, იყო თუ არა ნელი გრიგოლაგა გამგე!

ნელიმ გულრიფშის სახალხო სასამართლოს დაუჯერებელ-დამამტკიცებელი საბუთი წარუდგინა, იგი თავის უფლებებში აღადგინეს, თანაც სამი თვის ხელფასი აუნაზღაურეს. ბრაგო, ნელი!

საინტერესოა, რატომ იძლევა ერთი და იგივე დაწესებულება ერთმანეთის საწინააღმდეგო ორ ცნობას?: 1. ნელი გრიგოლაგა 1974 წლის 5 ივნისს განთავისუფლებულია მაღაზიის გამგის თანამდებობიდან, 2. ცხრა თვის შემდეგ კი ირკვევა, რომ ნელი გრიგოლაგა არასდროს არ ყოფილა № 49 პურის მაღაზიის გამგედ!

იქნებ გაირკვეს, ვინ აფარებს შეგვეცილ ფრთებს ნელი გრიგოლაგას?

შანი სიხარულიძე,
ავთანდილ ადვიფილი.



დაგეგვლით!

ვის არ სმენია, ვინ არ დამტკბარა გულის ნაწილ-ნაწილ...
ვი არა, ერთიანად წამლები სიმღერით: „მე ბანი-ბან დაგეგვლით, შენ ბაღის ბოლოს გეძინა!“

მკითხველი სიტყვის გადაუკვრელად ხვდება, რომ ბაზაში, ლამაზმანმა კი არა, ლამაზმანის სანუკვარმა ოცნებამ გაბრწყინა: ამ ოცნებას ხან ჩექმის ფრთა აქვს და ხან — კაბისა! იგი ხან ქურქია და ხანაც — ტურქული!

აქამდე, თითქო, ისე ვიცოდით, რომ ბაზის უმთავრესი და უკეთესობილესი მოვალეობა მალაზიების საჭირო საქონლით თავისდროული, შეუფერხებელი მომარაგება იყო. მალაზიის მოვალეობა კი... თუმცა, უკაცრავად, მალაზიის მოვალეობამდე საქმე ხშირად აღარ მიდის, უფრო სწორად, ის მზეთუნახავი საქონელი ვეღარ აღწევს მალაზიამდე!..

იქნებ, საქონელი ფეხს ვერ იდგამს? იქნებ, ფული შევავროვოთ და ჭოჭინა ვუყიდოთ?! — თავში ხელს წაიშენს გულჩვილი მკითხველი.

დამშვიდდით! დამშვიდდით! საქმე სწორედ რომ პირიქითაა: აქაოდა, ისედაც კარგად ვიცილებით, ან ტრანსპორტი რატომ მოვაცდინოთ, ან ეს კარგი დედამიწვილები რიგში რატომ გამოვტყულოთო? აქაოდა, ბაზამდე უმეტესობას თვალი მაინც არ მიუწვდებათ, — ეს მზეთუნახავი საქონელი იქნებ, ციმციმ, საკუთარი ფეხით გადადის სანდომიან... უკაცრავად, სანდო ხალხის ხელში, — რა თქმა უნდა, უცხო ფასად, ხშირად — გრძელ-გრძელი სივებით და არცთუ იშვიათად — მოკლე-მოკლე გადარეკვებით!..

ჩვენ კი, ჩვენ, ძებნისა და ვერბოვნისაგან დაგუდულ-დამდულრულ ხმაზე ვმღერით: „ჩვენ დახლი-დახლ დაგეგვლით, შენ კი ბაზაში გებრწყინა!“

...ნეტარსახსენებელი სულხან-საბა ორბელიანი თავის „სიტყვის კონაში“ ბაზას, რატომღაც არ იხსენიებს. თუმცა, ვინ იცის, როცა ჩვენი დიდი წინაპარი „ბაზარს“ „სავაჭრო ადგილად“ განმარტავს, შესაძლოა, ბაზასაც ვუღიხსნობს?!.

ზაზა კაციაშვილი

პაი



დაგიღევია ზომაზე მეტი!.. გადაგვარვია თვალბზე ბინდი!.. თურმე, ქუჩაში, გონდაკარგული, უცნობ გოგონას თავსაფარს ხდიდი!..

არ შეისმინე რჩევა, ვედრება — ატეხე ჩხუბი, აყალმაყალი და, ღვინისაგან გადარეულმა საბრალო გოგოს მუშტი დაჰკარი!..

ვეღარ გიშველეს ბიბამ, ნათლიამ! — ვეღარ დახიეს ოქმები, აქტი!.. მაშინ მიიღეთ: შენ — სამი წელი!.. და მამაშენმა — სამი... ინფარქტი!

ყაუს!

ინსტიტუტში მასწავლიდნენ მაღალ მორალს! მაღალ ზნეს! დავამთავრე!.. ქარხანაში ტექნოლოგიად გამგზავნეს!


არ ვიკვებინი: ბევრსა ვჯობდი ცოდნითაც და გარჯითაც! მაღლობას რომ მოველოდი, დამემუქრენ დასჯითა!..

ჭერ მთავარმა ინჟინერმა დამიბარა, დამცოფა: „უველა მოქმედება იცი, არ გცოდნია გაყოფა!..“

ბალახბულახს კი არა ვძოვ, არც ტყის სურო მაცვია!.. ან მას რა ბასუნი გავხცე?!“ — თითი მაღლა ასწია!

ღირექტორმაც დამაწია რა ამბავი, რა ყოფა: „უჭკუოდ რომ დაბანდალებ, ვერ ისწავლე გაყოფა?!“

ყურში ბამბა გამოიღე! გამოფხიზლდი პაწია! მე მე ვარ და... სხვაა კიდევ!“ — თითი მანაც ასწია.




მეორედაც, მესამედაც... კვლავ მაგემეს სიმწარე! ამიყოლეს, გამიყოლეს და... გაყოფა ვისწავლე!

სად ჩაყოფა არ ეგების, ორთავ ხელი ჩავყავი! გამოვყავი! გადავყავი! გადმოვყავი! გავყავი!..

ახლა ვზივარ განყოფით!.. გაყოფანი მეყოფა!.. ათ წელიწადს არვინ მიყოფს, გული ბოღმით მეყოფა!

ნოდარ შამანაძე

ნახ. ბ. ლომიძისა



ქელეზები


დღე მავუდა მგელიას, ხნერი კი იყვა ხანათა, ფეხზე ვეღარა დგემოდს, ცოცხლობდა ძალის-ძალითა. მავუდა, მკვდარს თავის წესი აქვს, ჩვეს კისერზე ვაგლითა, დამპირათ, კიდევ ვერაზათ, ერგულ დავინდათ დვარათა. მავაწვე სისა სწერავდეს, მავარდეს შინაურები, ჩვერა ჩაწილეს სირავი, გროვად სდგავ თონის პურები. ლედი ავლეს ხეიანი, არაკი კი ჭინდა ქერისა, არც ღვინო დასცილებივცა კახური ლაღის ფერისა, არ დამურა არც რაი, ბევრა დახოდა ხაჭონი. ღმერთი და ჩემო გამებო, ხა სირე იყვა და რა ქონი. დღის ქელეზში მგელიკამ ნაინთი უწინაი შეყარა. — მასელითაც ბევრა მაგიდის, იქ იყვა მოცილი ქვეყანა. სრუ ყველას თავის წესი აქვს, მიწას ჩაღარდა მკვდარია, მამრედი კი სურფის მასელს ეს ამოიფრა ჯარია. თამადაი დასახელეს ბერო, ტკბილმოზარია, კაცი ეს პატიოსანი, ანასა და მანუზარია. სურფის კაცია ნამგელიო კვა-სა ივის ხარული, არც ვის უნახავ ბერდას სურფრიდან გამაპარული. პირველი სიტყვით თამადა მწიბრათა სიტყვა მკვდრისადა, ყველამ დასცალეს ჭიქები, თავს შირცხედდეს რისისა? სირავს, სურფარზე ჩაწილილს, გახკრეს, გამახკრეს კბილები, „ფიპიტაკრსაც“ ურტყავენ, ლოდინით სულწასულები. რი იოტავეს ერთი ჭიქა, მემრედ ასწიეს წყილები, თან-თან დასხვილდეს თალები, ზოდან თუ იყვა წერილები. მავუე შეუდგა თაქია, არაკი გიგოთ ბერასა, ცხვირითი უმტყვენ ხანდისხან, თითქოს აფრთხობდეს ბერასა, თვალს დაშტერა მგელიკას, თანაც ლოყვას ღმერავსა, კაც იმის მწახველ იფიქრებს, აუტანია წერასა;

— წამედ, შენაც ვადახკარ, წამაიყვანე ალუდა თან ფახურე გამაყოფლის ქვეს გართობა არ უნდა? მე თუ რას მეთხობ, მავ ხნისას სიღმერა მუსულებისა, ანაღარადაც ციფით, იჯასა რი დასკლებიანსა. დღეა მავაგუდა რა მანდა, სრუ ყველა გერე კვდებიანსა. რას ჩამოტრის თა-მედი, აქვს ზვარ დაბრუნდებიანსა? თუ დამბრუნდები, გვიძხე, მუსლა არ გაბრუნდებიანსა, ქვიფ ჩვენი ღმერთმა მავაგუდა, „მანება“ იოტვის მკვდრებისა.“
მუხლ შეიჭმუნა მგელიკამ, თამადას უწინაი:
— „შარ სათაბადა მანდების, ესერ არ გამადავებიანსა. ქალაღმე ჩამავარიათ, სანამ ხალხს აიშლებინსა, იმის ფას მინავ ავიდა, რაც აქ იხარებინსა.“
სასმელით გაღუნული თამადა მასხინების გაუწერებისა; — „აღრედე უნდი დავწყვა, დრო შენ არ გელოდებისა, შოე ხალხს წედაწავ წავიღეს, შოე ავარ ენოა დღებისა, წინ სვარ დაუდა წყლისად? ეს რეორი მაიძობებისა?“
ამის გამთხევე მგელიკას ფერ-გონი ვეარტყების. მჯილი ჩაიხლმა მერდშია, მემრედ კი აჩიარდებისა: „—ავაი დედას მტრისასა, რისად გაუწვივე სკიწონი? არიციე სუხლთა დახვარეუ იმ ჩემ დედას ნაქონი!“

ისრე რასეულა წავიდეს სრუ არა დადა მინეა? რა დადებდა, ბერავი, ხალხი მალედვ გაიქცა. დიადე რასამ სწერავდეს, ოროლ ან სან-სამ მანათი, სრუ ყველა არც ჩამასულა, ვერც ვის წარითვე ძალითი. ამის გამებრე მგელიკამ გადაიწია „ხალაოი“, ცილს წამაბადა თაზედა, ვით კაცის მკვლელი ჯალათი; — „ჩემ ღმერთე დავწერების ვინც ხუფე დავივის ენასა! შენ გადაამედ გონის იქით, ამაღ ჩავადარი წვეინასა. არც გაგებების არც რაი, ზუნაზე ამბობ ქვეინასა, არით მგარანჩე დიაცთა შენ ჩემი გულის ტკინასა. ცემით რის დასწინებენ ძალე დარც ღმერთე კტინასა. ესე რი, ვერც ცემით გაგებზე, ვერც ლანდვ გინობს ენასა, ვერც ვერას გაგებინებენ, კაცია, რის გუბუნებისა, გირჩედი, ბერის ქელეზში ბევრ ხალხ არ გამადავებისა. შენ შენას გაიძახობი, — დასასარჯი სირავებისა, უხასია, ყველას ვაცნობთა, სადაც ხმა მიგეწვივდებისა. უკნის ქელეზში მასულა შენ მკვდარ არ ავირდებისა, კადების, გაიპარების, ყორვებს გაუკვრებისა. არად სიღმერას დავიწყებს, რი გიფით ბერა შერებისა. ჩემ მკვდრის არ დამწყსებებისა, სულ ავირდებისა მკვდრებისა. მიავწინავლი მებრისად, ეს კი არ მავიწყდებისა, თავ-თავის წილად სრუ ყველას ვიღავს მავუკვდებისა, მემრედ სურან, მგელიკას, მანათ რი გამაგებებისა, არც გაიხსენებს „მასაწირს“, ადვების, გამაგებებისა.“
ესა არის „წესის აგება?“, ეს არს გაგება წესისა?“
შალვა ზოლმაზარი
(თანეთის ჩაიონი, ს. სიონთეორი)




სუიტავრე



ბ. 75

— მერთი ურთობი წაკალ, მივლინებისა გავაპარებულ და ახლავი დავარუნდები.



ბ. 75

სუიტავრე

მინიატურაზი

ჩალა ზა ასანთი
გედრება ჩალა ასანთის: — ნუ გავიფიქრ ჩაღის ფხასად.. ეხარალებო ჩალა ასანთს: ჩაღას ყიდის ცეცხლის ფხასად.
ცაიირი
დამხავებობა შეღას და, თუ შამალი ყვივის, — მალახ და ვედარ მალახ ავოფიციებიან ღმიღებს.
მასხანა ჯაბახხაძე

ნახევრად სერიოზული აზრები

- **სიბრძნე** ღვინოსა ჰვავს: თუ მოინდომე, მისი გავუტყუებაც შეიძლება!
- **მძინე** მისხვედ-მოსახვევია, სირცხვილია არის, ავტომატწანა არა ტკონილეს!
- **დალომობი** მკლითაც ხერხებოდა მილითონების შექმნა!
- **ჯურჯუნი** ბოლო თუ ავიღინეს, ამით ატმოსფერო არ მოიწამლებოდა!

გიგა მახვილიძე

აზრის ბრიფი


უგაგის განაგებობითი დამსიონი

- **სიხრვი** — სხვისი მღელვარებით გამოწვეული სულიერი მღვობარეობა.
- **მამობრიობა** — პატარა ვემი, რომელიც კარვ ამინეტი ორს იტყვი, ტუღმი — მხოლოდ ერთს.
- **ფარფარა** — ხელუვნება, რომელიც იცავს ბრტყელი ზედალის სინტესთან, მართამ ვერ იცავს კოტიოსთან.
- **მცოდნე** — სპეციალისტი, რომელიც იცის ყველაფერი რალაცხე, დანარჩენისა კი არაფერი გაგებია.
- **მილოცვა** — შურის საფიქრი ფორმა. თარგმნა **ბ. მახვილიძე**



- **სამდამთილი** უღელქოლი სარძლი არ უნდობა და სარძლის უღელი სპირტი უნდობა!
- **წილის მითვანით** დამინებელი, — შვილის ქორწილზე ვერ მიდიობა!
- **ღმწახვამი** დამე უმტყნე, ტვავს გაიპარობოთ და, — რეტარაწანა წუ წახვეყანო!
- **რთახვოლი** კეიფის ბოლო ქვლებია!
- **ღმრედი** კაცის გული გოგოს ხორცილი არ გაძლებია!
- **მავლა** გვხასად ენის გვალვას, მძილის გარდა!

ბაგო იონცაძე



ნახ. 8. პანორამის

სასელოს მონაგაზი

ფილოზოფიკა

- **ქვიანური** აზრები ფეული არაა, შემწახველ სალაოში წუ შენიხავთ.
- **ზოგი** დირექტორმერცხლს ჰვავს, გაღრინდება და ერთ წელიწადში შეიძლება უკანვე დაბრუნდეს.
- **სიბრყვეს** თავი ვერმეტყულებ ვერ შეინახავ, ანთე თუ გვიან გამოყოფავს.
- **ერთი** ყველასათვის, დანარჩენი შეხვეწებაზე!

ა. აინაორინი

ქართული



ხუჭავთ თვალებს?! ჩვენი ხელით გავითხაროთ ათწლებელი? არ გესმით ამდენი?!

ყველა გაჩუმდა.
 — ის ინტრიგანი რომ გამოვიდეს და გადმოაგდოს ენა? — იკითხა პირველმა.
 — კბილაძე?... მაგისი ნუ გეშინიათ, მივლინებაში გავსულიყავი...
 — კედლის გახეთქილი რომ გავვწერა, ის...
 — მაგი საგზურს ელოდება ჟღერს ნოვოდსკოში და არ გამოვა. მაშასადამე, დაიხსომეთ, რომ თქვენი გამოსვლები უნდა იყოს რაც შეიძლება კრიტიკული და მწვავე... შენ, ტოტოჩია, ზედმეტი არ წამოგდეს, თორემ იცი შენ როლში შესვლა, დადგები და აღარ იცი რას ლაპარაკობ. ხომ იცი, იქიდან დაგვესწრება კაცი კრებაზე და აბა, თქვენ იცით, არ შემარცხვინოთ, სულ კრიტიკის კორიანტელი უნდა დავაყენოთ. მერეც ოტყვიან კრიტიკას ახშობსო, აა?!

სიმონ ჯაფარიძე
 (საკონკურსო მასალებიდან)

დირექტორის კაბინეტში ოთხი კაცი იჯდა: პირველი მოადგილე, მეორე, მთავარი ინჟინერი და, რასაკვირველია, დირექტორი.

— მაშასადამე, ამხანაგებო, დაიხსომეთ, რომ თქვენი გამოსვლები უნდა იყოს კრიტიკული. ჩვენ გვთხოვენ კრიტიკას და ჩვენც კრიტიკით უნდა ვუპასუხოთ, — ლაპარაკობდა დირექტორი. — ახლა კონკრეტულად ვინ რაზე ილაპარაკებს... შენ, ოჩხიკაძე, ილაპარაკებ დისციპლინაზე; თქვი, რომ მართალია შარშანდელთან შედარებით მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ მაინც არის დისციპლინის დარღვევის ცალკეული შემთხვევები; დაასახელე კონკრეტული პირები. მაშასადამე, გამოსვლა უნდა იყოს კრიტიკული, თორემ იცი შენ, გამოსვალ და ქებით ცაში აიყვან კაცს. მოკვდა ის დრო... მოამზადე და ხვალვე წამაკითხე.

— შენ, კეიძე, ილაპარაკებ კადრების დენადობაზე, ახალგაზრდა სპეციალისტებთან სუსტ მუშაობაზე, დაასახელე მიზეზები, აღნიშნე რა მუშაობა ტარდება ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. დაასახელე კონკრეტული პირები, ვინც არ უნდა იყოს. ნუ მოგერიდება, დირექციასაც შეეზე ოდნავ, თორემ იცი შენ ასე, არაუარს არ გინდა აწყენინო და ყველასთან კარგი კაცი გამოხვიდე. ასე არ გამოვა, სხვანაირად ვმუშაობთ ახლა ჩვენ, წაყრუების და ხელის წაფარების დრო მოკვდა. მაშასადამე, კრიტიკა და მხოლოდ კრიტიკა. დაწერე და წამაკითხე.

— ახლა შენ, ტოტოჩია, — მიმართა დირექტორმა მთავარ ინჟინერს. — შენი გამოსვლა უნდა იყოს ყველაზე მწვავე და კრიტიკული. ნურაფრის ნუ მოგერიდება, ყველაფერზე ილაპარაკე. რეკლამაციებს რომ ვიღებთ, ყველამ იცის და ვერ დავმაღავთ. მაგრამ აღნიშნე, რომ თუ შარშან 47 რეკლამაცია მივიღეთ, წელს მათი რაოდენობა 20-ს არ აღემატება, ე. ი. 2-ჯერ და მეტად შემცირდა და ახლა ვიბრძვით ურეკლამაციო პროდუქციისათვის. ილაპარაკე, აგრეთვე, მასალის გადახარჯვაზე. აღნიშნე, რომ გამოვაცხადეთ შეჯიბრება იმაზე, თუ ვინ გადახარჯავს ყველაზე ნაკლებ მასალას. მაშასადამე, დაიხსომე, რომ შენი გამოსვლა უნდა იყოს ყველაზე მწვავე და კრიტიკული. ნურაფერს ნუ დამალავ, ილაპარაკე პირდაპირ!

— ახალი ტექნიკისათვის გამოყოფილი თანხა რომ ვერ ავითვისეთ, ამაზე რა ვთქვა? — იკითხა მთავარმა ინჟინერმა.

— მაგაზე რა უნდა თქვა!.. მაგაზე ჯობია ახლა ნურაფერს ნუ იტყვი, თორემ შეიძლება იქ სხვანაირად გაიგონ და ხომ იცი...

— ელექტრომაგნიტური მტვერსასრუტი რომ გავაქეთოთ და მტვერთან ერთად ინსტრუმენტიც რომ შეიწოვა? — იკითხა პირველმა მოადგილემ.

— ეგეც არ გინდათ, რა მოხდა ახლა, უშეცდომოდ ვინ მუშაობს.

— ძვირფასი უცხოური დანადგარები რომ შევიძინეთ შარშან და ახლაც ვარეთ რომ გვიყრია? — იკითხა მეორემ.

— მაგი არაა ახლა სალაპარაკო...


— ავტომატის ასაწევი მექანიზმი რომ გავაქეთოთ და აწევის მაგიერ რომ გადაყირავა?

— არც ეგ!

— გეგმას რომ ვერ ვასრულებთ?

— გეყოფათ ახლა! — იყვირა დირექტორმა. — ნამეტანი თავს გახვედით! თქვენ რომ ნება მოგცეთ, დედაბუდიანად მოთხრით ყველაფერს! მარტო ცუდს რომ ხედავთ, კარგზე რატომ

ნახ. 6. ძელენსაზვილისა



ნახ. 3. ფირცხლაშასი



— გაიგე, სტალიონს 1976 წლის 1 აპრილს ხსნიანო.
 — ღაჰიჯერო ვითომ ეგ 1 აპრილი?

საქართველო

ფართო აივანს მოჩუქურთმებული, აქა-იქ ამომტვრეული და საღებავ-გადაცლილი მოაჯირი გასდევდა. სწორედ ეს მოსწონდათ ძველი თბილისის ვგზოტივის ძიებაში ვინ იცის საიდან ჩამოსულ კინოსა თუ ტელევიზიის მუშაკებს. კვირაში ერთხელ მაინც შემოივლიდნენ ხოლმე ეზოში, მხატვრული თვალთ აწონ-დაწონიდან შედევრალურ კადრებს, შემდეგ როგორც მოხვდებოდათ. ისე ააჭრებდნენ ირგვლივ ყველაფერს, ცოტა ხანს აზუზუნებდნენ კინოაპარატებს და თავის გზას გაუყვებოდნენ. კრულჭრულად შეთხზნილ კარ-ფანჯარასა და საწვიმარ მიღებს კი ისევე ბედის ანაბარად მიატოვებდნენ.

მას სწორედ ეს უშლიდა ნერვებს. და კიდევ ის, რომ ყოველ საღამოს ფართო აივანზე დომინოსა და ნარდის ხატუხატუთი იყო, ან ფეხბურთზე ლაპარაკი, უფრო სწორად — დრიალი. აღრე თვითონაც სიამოვნებით იღებდა ხოლმე მონაწილეობას ამ შინასავეზოვე ბატალებში, მაგრამ...

მას შემდეგ, რაც სამსახურში დააწინაურეს (და ახალ ბინასაც შეპირდნენ) თავის თავს აღარ აკადრა დომინო და ნარდი.

სალამიც დაუძვირდა. დილით მედიდურად ჩაივლიდა ხვეულ კიბეზე. კანტიკუნტად დაუტუნედა თავს დილის ვარჯიშისათვის ფართო აივანზე გამოშლილ მეზობლებს.

სალამოს მედიდურად აუყვებოდა ხვეულ კიბეს. ძლივს აღივსებდა სალამს ნარდისა და დომინოს თამაშის აზარტში შესულ თავის ყოფილ პარტნიორებს.

ჩქარა მარცხენა ხელში დიდა, მოყვითალო პორტფელი გაუჩინდა.

კოსტიუმი ჩაიმუქა. შლაპაც დაიხურა.

საკუთარ ღირსებას და გავრდილ ავტორიტეტს მუქი კოსტიუმი აღარ აქმარა, ახლა შავი პალსტუხით გაუსვა სქელი ხაზი. გაგანია სიკვამიცი აღარ იცილებდა ამ ტანისამოსს.

დილით მედიდურად ჩაუარა აივანზე გამოფენილ მეზობლებს,

ხვეულ კიბეზე ჩადგა ფეხი და... ჰოი, საწურთოვ, მუხთალო! ფეხი აუცდა, წონასწორობა დაკარგა...

ცა დაყირავდა, ეზო უცებ მოექცა თავს ზემოთ, საღლაც დრუბლებთან მონავარდე მერცხლებთან გაივლეს მისმა გაპრიალებულმა ფეხსაცმელებმა, მეტეორივით ჩაუქროლა მოყვითალო ჩანთამ, მას კუდივით მიჰყვა თვლებიდან წამოცვენილი ყვითელი ნაპერწკლები, კოსმოსური თეფშევით გასრიალდა ირიბ ზეცაში შლაპა, ვერაგულად მიმალულ ჟანგვიან ლურსმანზე ჩაიხა შარვალის კისრის არეში, კეფასთან ყრუ ტკივილი იგრძნო და...

გრავეტაციის კანონმა ერთხელ კიდევ იზეიმა თავისი უტყუარი ჭეშმარიტება!

იგი მიწას დაასკდა.

სალამოს, ჩვეულ დროს, ფრთხილად აიარა ხვეული კიბე და ფართო აივანზე გამოშლილ მეზობლებს თავმდაბლად მიესალმა...

ფ. ყორღანაშვილი

ნიანგის ზოსტა

რედაქციაში ასეთი შინაარსის წერილი მოვიდა: თბილისის რკინიგზის სატვირთო სადგურიდან დაგვიანებით მივიღე საფოსტო ბარათი. დაგვიანების მიზეზი საფოსტო განყოფილება აყო, რკინიგზამ კი ჯარიმა მე გადაამხდევინა. საქალაქთაშორისო ტელეფონით ვისარგებლე, თანხა კი ზედმეტი გადაამხდევინეს.

რედაქციამ აღნიშნული წერილი გადაუგზავნა საქ. სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს, პასუხმაც არ დააყოვნა: „...დებულების თანახმად შეკვეთილი საფოსტო ბარათის დაგვიანებით ჩაბარებისათვის კავშირგაბმულობის საწარმოო ჯარიმას არ იხდის. ასეთ შემთხვევაში დამნაშავე მუშაკი იხჭება ადმინისტრაციული წესით.

დამნაშავე ფოსტალიონი სამუშაოდან განთავისუფლებულია, რაც შეეხება საქალაქთაშორისო ტელეფონით სარგებლობისათვის ზედმეტად გადახდილ თანხას მ მანეთ და 49 კაპიკს, იგი თქვენ დაგიბრუნდეთ... დამნაშავე ტელეფონისტი დაისჯა ადმინისტრაციული წესით“.

თბილისის ლოტკინის მთის დასახლებიდან კოლექტიური წერილი მოვიდა. წერილის ავტორები გულისწყრომას გამოთქვამდნენ ჩოდრიშვილის ქუჩისა და მისი შემოგარენის კეთილმოწყობლობის გამო. კოლექტიური წერილი გადაეგზავნა თბილისის ლენინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. აღმასკომმა გვიპასუხა: „...გაცნობებთ, რომ ლოტკინის მთის დასახლების კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების მიზნით რაისაბჭოს აღმასკომს შემუშავებული აქვს სათანადო გეგმა, შექმნილია სპეციალური შტაბი, რომელსაც დავალდებული აქვს შემოაღნიშნული საკითხების მოგვარება-კოორდინირება.

ამჟამად მიმდინარეობს რადიოხაზის აღდგენითი სამუშაოები, რომელიც უახლოეს ხანში დამთავრდება.

შემდგომში გატარებულ ღონისძიებათა შესახებ დამატებით გიცნობებთ“.



ველით თქვენს დამატებით პასუხს, რაც მალე — მით უკეთესი!

თბილისის საქარხნო რაიონის შუამთის ქუჩის „ა“ და „ბ“ კორპუსების მცხოვრებნი კოლექტიურ განცხადებაში აღნიშნავენ სასმელი წყლისა და ცხელი წყლის მწვავე ნაკლებობის შესახებ. რედაქციამ წერილი გადაუგზავნა თბილისის საქარხნო რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. რაისაბჭოს აღმასკომიდან ასეთი პასუხი მივიღეთ: „...განცხადებაში მოყვანილი ფაქტი სინამდვილეს შეეფერება.

აღმასკომმა დაავალა შესაბამის სამსახურებს უახლოეს დროში მოავარონ ცივი და ცხელი წყლის მომარაგების საკითხი, რომლის შესახებ დამატებით გიცნობებთ“.


იმედია, ცივი წყალი არ გადაეხსმებათ ცხელი წყალის მომლოდინეებს.

ნ.ბ. პ. კატინაშვილისა



სუნიტყვოდ

ნ.ბ. პ. კუსინასი



სუნიტყვოდ

საბრძოლო კოლეგია: ფ. გოლგოზა (პ.მ. მლინა), ფ. კატინაშვილი, ფ. ლოლუა, მ. ლომიძე, ნ. მალაზონი (მზაზ. რედ.), ნ. ნიანიძე (მთ. რედ. მოადგილე), მ. ფირცხალაბა, თ. ზელიძე.
 მ. ნიანიძე (მთ. რედ. მოადგილე), მ. ფირცხალაბა, თ. ზელიძე.
 ტექნიკური რედაქტორი მ. კუხიანიძე.
 გამომცემლობა: ბალანცა სააქრობო 23/VII-75 წ. ხელმოწერილი დასაბჭოვლად 20/VIII-75 წ. ბალანცის ზომის 70x108/16 ფორმატის ნაბეჭდი ფურცელი 1. სააქრობო-საბრძოლო ტიპი 1,4 ტიპის, პრ. რუსთაველი № 42, თბილისი, 135-070. ტირ. 135-070. ტიპოგრაფიის გამომცემლობის ტიპობა, ტიპოგრაფიის გამომცემლობის ტიპობა, ტიპოგრაფიის გამომცემლობის ტიპობა, ტიპოგრაფიის გამომცემლობის ტიპობა.
 ტელეფონები: 99-76-69, 98-19-42, 98-10-78, 98-49-82.

მთავარი რედაქტორი
 ფურცლები
 639
 17.1X



მამა რაბინის პაპიანი